

საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№ 4

პერიოდული გამოცემა
2015 წ. აპრილი



გამოცემულია ევროკავშირის პროექტის
„საქართველოს სახალხო დამცველის
აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება



საქართველოს სახალხო დამცველი
გიორგი ნანსახვილი

მარტის თვეში საპარლამენტო ანგარიშზე დაძაბული მუშაობის შემდეგ აპრილში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ორი სპეციალური ანგარიში წარმოვადგინეთ.

ცალკეული საქმეების შესწავლა თუ ზოგადი მონიტორინგი ცხადს ხდის, რომ ქვეყანაში ბავშვთა უფლებები არასათანადოდაა დაცული. ბავშვის უფლებები ირღვევა სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, ბიოლოგიურ მშობლებთან თუ მინდობით აღმზრდელთა ოჯახებში, მაღალმთიან რეგიონებში, დევნილთა და სოციალურად დაუცველთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში. ვფიქრობ, ჯანმრთელი, განათლებული, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების მატარებელი თაობის აღზრდა დიდი გამოწვევაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებითა და ძალისხმევით უნდა მოეკიდოს ხელისუფლება. სამწუხაროდ, ამ კუთხით მნიშვნელოვანი ძვრები არ იგრძნობა.

მძიმეა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა მდგომარეობა. აპრილში თემაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის წევრებს შევხვდით და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებთა საჭიროებები განვიხილეთ.

როგორც „A სტატუსის“ მქონე ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) სამუშაო ჯგუფის 23-ე სესიისთვის წერილობითი მოსაზრება წარვადგინე, სადაც პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ შესაძლო უფლება-დარღვევები, ეკონო-

შინაინსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება	1
2. მთავარი მოვლენა	2
3. სახალხო დამცველის წინადადებაი და რეკომენდაციის სახალხო დამცველისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს	5
4. ბასული თვის მოვლენები	6
5. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა	12
6. წარმატებული საქმეები	14
7. ღირსშესანიშნავი თარიღები	15
8. საქართველოს სიხალხე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით	15
9. სახალხო დამცველის აპარატის ახვაბი	16
10. კონტაქტი	17

მიკური და სოციალური უფლებები, გენდერული თანასწორობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მიმოვიხილე.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს სტუმრობა. საბჭოსთან თანამშრომლობითა და მათი რჩევების საფუძველზე არაერთი კვლევა ჩავატარეთ და ანგარიში მოვამზადეთ, გავაღრმავეთ ურთიერთობა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ქალბატონ ვირჯინია დანდანთან და ბატონებთან ოგე ბორჩგრევიჩთან და იორგენ იოჰანსენთან 2 დღის განმავლობაში განვიხილავდით განვლილი წლის საქმიანობას, სამომავლო პრიორიტეტებსა და პერსპექტივებს.

ცალკე გამოყოფდი ჩვენს გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გურიასა და მალაღმთიან აჭარაში. გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის არაერთი მწვავე პრობლემა, სამწუხაროა ისიც, რომ ადგილობრივები არ არიან ინფორმირებული სახელმწიფო პროგრამების მიერ გათვალისწინებული სხვადასხვა სიკეთეების შესახებ. გამოიკვეთა ისეთი გამოწვევებიც, რომელთა დაძლევა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული, ერთობლივი ძალისხმევით ახლო მომავალში არის შესაძლებელი.

აქვე მინდა ვისაუბრო ჩვენს ინიციატივაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების და შესაბამისად, მისი კონსტიტუციური კონტროლის არეალის გაფართოების შესახებ. ჩვენი იდეა უკვე არსებული სისტემის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებაში მდგომარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ იდეა მართლმსაჯულების ხარვეზის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ უარყოფილია, საზოგადოებაში კვლავ რჩება მოლოდინი, რომ შეიქმნება მექანიზმი, რომლითაც გარკვეულ საქმეთა ნაწილის განხილვა მაინც იქნება შესაძლებელი და გაჩნდება განცდა, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა.

აპრილის ბოლო პარასკევს ტრადიციულად საჯარო დებატები გავმართეთ თემაზე - „ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა - ხარვეზები და გამოწვევები“. უკვე ერთი წელია, რაც პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი

მიიღო და მისი იმპლემენტაციის მაკონტროლებელ ორგანოდ სახალხო დამცველი განისაზღვრა. ამ დროის განმავლობაში ჩვენს აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, რამდენიმე ათეულობით საქმე განვიხილეთ კიდეც და კანონში აშკარად გამოიკვეთა ხარვეზები, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს; ამ მიზნით, პარლამენტში ჩვენი მოსაზრებებიც წარმოვადგინეთ და პარლამენტის წევრთა მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

არ მინდა მისასალმებელი სიტყვა ძალიან გამიგრძელდეს და მოგახსენებთ, რომ სხვა, თქვენთვის საინტერესო თემებს ქვემოთ წარმოდგენილ აპრილის თვის საინფორმაციო ბიულეტენში იხილავთ.

2. მოხვარი თემა

2.1. სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ვიზიტი

14 და 15 აპრილს სახალხო დამცველის აპარატს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ნორვეგიის, ჰელსინკის კომიტეტის მრჩეველი ოგე ბორჩგრევიჩი, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის ექსპერტი იორგენ იოჰანსენი და გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო სოლიდარობის საკითხებში ვირჯინია დანდანი ეწვივნენ.

ორდღიან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველის აპარატის წევრებმა გასული წლის საქმიანობის შესახებ მოკლე მიმოხილვა წარმოადგინეს, ისაუბრეს სახალხო დამცველის მანდატის გაფართოვების შედეგად, აპარატში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლადჩამოყალიბებული დეპარტამენტების მუშაობის მიმართულებებს და სამოქმედო გეგმას.

საერთაშორისო ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს სახალხო დამცველის ინიციატივა ადამიანის უფლებათა სკოლის შექმნის შესახებ, რომელიც უახლოეს პერიოდში ამოქმედდება და განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებაში.

15 აპრილს, შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდგომ, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა პრესკონფერენცია გამართეს.



სახალხო დამცველი და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს პრეზიდენტი

ურჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტების წინაშე ზოგადად მიმოიხილა ექსპერტთა საბჭოს გასული წლის რეკომენდაციები და მათი შესრულების შედეგები. საბჭოსთან თანამშრომლობითა და მათი რჩევების საფუძველზე სახალხო დამცველმა არაერთი კვლევა ჩაატარა და რამდენიმე ანგარიში მოამზადა კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, ასევე გააქტიურა თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ქალბატონმა ვირჯინია დანდანიმ საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ ისაუბრა; ბატონმა ოგე ბორჩგრე-ვინკმა 2012 წლის აგვისტოში ლოპოტას ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის გამოძიების საკითხებზე ისაუბრა და აქვე განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე.

ბატონი იორგენ იოჰანსენი აუცილებლად მიიჩნევს, საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს სახალხო დამცველის აპარატისთვის უფრო მოსახერხებელი, სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთათვის ადაპტირებული და უსაფრთხო შენობის მოკლე ვადებში გამოყოფა.

მრჩეველთა საბჭოს შექმნა სახალხო დამცველის 2013 წლის სამოქმედო სტრატეგიული გეგმის ნაწილი იყო. საბჭოს მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და ამ კუთხით პრიორიტეტებისა და პერსპექტივების განსაზღვრა. მრჩეველთა საბჭოს წევრია ასევე, გაეროს სპეციალური მომხსენებელი შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებათა საკითხებში მაინა კიანი, რომელმაც შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

მოგვიანებით, სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა **საბჭოს წევრებმა თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში**

ლექციები ჩაატარეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საკითხებთან დაკავშირებით. მათ ისაუბრეს სახელმწიფოს დემოკრატიული მართვის პრინციპებზე, თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებსა და საზოგადოების დაუმორჩილებლობის არაძალადობრივ მეთოდებზე; კორუფციისა და უკანონო ქმედებების შემცირების მექანიზმებზე. წარმოადგინეს ევროპაში ექსპერტიზის, რადიკალიზმისა და ტერორიზმის საფრთხის მაგალითი — თავდასხმა ნორვეგიაში (ბრევიკის საქმე). განიხილეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის ქრილში“; ასევე, გაეროს ქარტია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და დამოუკიდებლობის ევროპული დეკლარაცია.



ოგა ბორჩგრე-ვინკი, ვირჯინია დანდანი და იორგენ იოჰანსენი თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს ეწვივნენ და საჯარო ლექციები გაართმეს

სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა საჯარო ლექციები სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა სკოლის ინიციატივის ფარგლებში ჩაატარეს.

2.2. სახალხო დამცველის შეხვედრები გურიასა და აჭარაში

16—20 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა, სახალხო დამცველის მოადგილეებთან ერთად გურიისა და აჭარის რეგიონებში შეხვედრები გამართა, ადგილზე გაეცნო მოსახლეობის პრობლემებს, მოისმინა მათი საჩივრები, გაეცნო საცხოვრებელ პირობებს. გამოიკვთა კომპლექსური პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ხელისუფლებაც უნდა დაინტერესდეს.

16 და 17 აპრილს სახალხო დამცველი გურიის რეგიონში ლანჩხუთისა და ოზურგეთის მოსახლეობას, არასამთავრობო სექტორს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა. რეგიონში უჩა ნანუაშვილს სხვადასხვა ხასიათის პრობლემები დახვდა, განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა სოციალური მდგომარეობა, მათ შორის სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფა. ამასთან მოქალაქეები არ არიან ინფორმირებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ და ხშირ შემთხვევაში ვერ სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისებით. რთულია საკუთრების რეგისტრირება, მცირეა დასაქმების შესაძლებლობა, სოციალური შემწეობის მისაღებად ხანგრძლივი პროცედურების გავლა უწევთ და გადატვირთულია საბავშვო ბაღები.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში მწვავედ დგას სასმელი წყლის, გაზიფიცირების საკითხი; საგზაო ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო მოსახლეობას უჭირს პროდუქტების მომარაგება, ვერ ახერხებენ სარეალიზაციოდ მოსავლის ტრანსპორტირებას; ხოლო ზემო ჭანჭათის მოსახლეობას უგზობობის გამო ვერც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ემსახურება.



შახველრა სოფელ ჭანჭათის მოსახლეობასთან

მოსახლეობის ცნობით, **ლანჩხუთის რაიონში მხოლოდ ერთი სოციალური მუშაკი მუშაობს**, რომელსაც ფეხით უწევს გადაადგილება, რაც აფერხებს ოჯახში ბავშვთა ძალადობის დროულ პრევენციას.

მოსახლეობის ნაწილი პროტესტს გამოთქვამს სამსახურებიდან გათავისუფლების გამო და მიიჩნევს, რომ საჯარო სამსახურიდან მათი დათხოვნა პოლიტიკური შეხედულებების გამო მოხდა.

ოზურგეთს ე.წ. კომბინატის დასახლებაში 28

ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. საზღვრის ერთჯერადად გადაკვეთის გამო მათ უმრავლესობას შეუჩერდა სოციალური დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ „კომბინატის“ დასახლებაში ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა 50 წელზე მეტია ცხოვრობს, ამ დრომდე ვერ ხერხდება ფართების საკუთრებაში გადაცემა. შენობების უმრავლესობა ბარაკის ტიპისაა და საგრძნობლად დაზიანებულია, გაუმართავი კანალიზაციის შედეგად უხვი ნალექის შემთხვევებში ტერიტორია იტბორება და სანიტარული მდგომარეობა საგანგაშო ხდება. აღნიშნულ დასახლებაში უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება ხანდაზმულებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა შორისაც ზოგიერთს არ გააჩნია ეტლი. ბავშვებს არ აქვთ სათამაშო მოედანი.

ოზურგეთის მერთან ბეგლარ სიორიძესთან და გურიის გუბერნატორის მოვალეობის დროებით შემსრულებელთან ქეთევან მოისნრაფიშვილთან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა სოფლის რწმუნებულთა გააქტიურებაზე და მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების აუცილებლობაზე ისაუბრა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, მათთვის ცნობილია მრავალი პრობლემის შესახებ და ისინი ეტაპობრივად შეეცდებიან მათ მოგვარებას. სახალხო დამცველმა თავის მხრივ გამოთქვა მზადყოფნა კონკრეტული წინადადებებით მიმართოს ცენტრალურ ხელისუფლებას იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც მათ პირდაპირ გამგებლობას განეკუთვნება.

19—20 აპრილს სახალხო დამცველმა **ხულოსა და ხელვაჩაურის რაიონების სოფლები** ღურტა, ღორჯომი და კირნათი მოინახულა და მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო. ზემო აჭარაში მცხოვრებთა უმრავლესობა მთის კანონის დროულად მიღებას ითხოვს, რაც ადგილობრივების თქმით, მათ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე და მიგრაციის მაღალი დონე ხელისუფლების მხრიდან სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს.

მოსახლეობას კონკრეტული პრეტენზიები აქვს აჭარაში, ჰესების მშენებელ კომპანიასთან. მათი თქმით არ არის დაცული შრომის უსაფრთხოება,

დაუბალანსებელია ხელფასები, ხოლო მშენებლობის პროცესში არ ხდება ადგილობრივთა ინტერესების გათვალისწინება.



სახალხო დამცველის შეხვედრები ხულოსა და ხელვაჩაურის სოფლებში

სახალხო დამცველმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ჰესების მშენებლობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების ზიანის შესახებ; ასევე, უცნობია კერძო კომპანიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები.

წლების განმავლობაში მიწის რეფორმის არასრულყოფილად ჩატარების გამო, აჭარის რეგიონში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას მიწების საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხი. ამ კუთხით ხაზგასასმელია საზღვრისპირა სოფელი კირნათის პრობლემა, სადაც ერთი მხრივ მიწასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხარვეზებითა და არასრულად არის შედგენილი, ხოლო მეორე მხრივ, საკარმიდამო და სასოფლო—სამეურნეო მიწის ნაკვეთების გარკვეული ნაწილი სასაზღვრო ზოლშია მოქცეული. შესაბამისად, მოსახლეობას შეზღუდული აქვს მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის უფლება. ვინაიდან საქმე ეხება სასაზღვრო ზოლში მდებარე დასახლებას, სოფელი კირნათი სახელმწიფოს განსაკუთრებულ მიდგომასა და ყურადღებას საჭიროებს.

კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ეკომიგრანტების საკითხი, რომლებსაც ამ დრომდე არა აქვთ შესაბამისი საცხოვრებელი პირობები. აჭარის მთელ რეგიონში არ არის სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა, სადაც სტიქიით დაზარებული პირები იქნებიან დარეგისტრირებული. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, აუცილებელია ბაზების შედგენა/განახლება და ეკომიგრანტთა პრობლემების გადასაჭრელად ერთიანი სტრატეგიის შემუშავება.

ხულოს გამგებელთან ბესიკ ბაუჩაძესთან გამართულ შეხვედრაზე სახალხო დამცველმა ზოგადად ზემო აჭარაში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.

გურიასა და აჭარაში არსებული ვითარების ზედმინევებით შესწავლის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატი შესაბამის უწყებებისთვის სპეციალურ რეკომენდაციას მოამზადებს. ასევე მოხდება იმ ინდივიდუალური საჩივრების შესწავლა, რომელიც სახალხო დამცველსა და მოსახლეობას შორის გამართულ შეხვედრებზე გამოიკვეთა.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაცია და წინადადებათა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანობს

3.1. ზოგადი წინადადება „ჯოზს.გეს“ დისკრიმინაციის თაველან ახილავისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

8 აპრილს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „ჯოზს.გეს“, შეიმუშავოს ისეთი რეგულაციები, რომლითაც აღმოიფხვრება დისკრიმინაციული ვაკანსიების გამოქვეყნება მის ვებ გვერდზე. საკითხი ეხება დასაქმებისას გარკვეული სქესისა და „სასიამოვნო გარეგნობისადმი“ უპირატესობის მინიჭებას.

იმის გამო, რომ „ჯოზს.გე“ არ ახორციელებს დისკრიმინაციული სიტყვების შემცველი ვაკანსიების ფილტრაციას, ერთი მხრივ ხელს უწყობს დამსაქმებლებს გაავრცელონ დისკრიმინაციული ვაკანსიები და მისი მეშვეობით განახორციელონ დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე, რაც აფერხებს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის ბრძოლას.

3.2. წინადადება მთავარ პროკურორს ბრალდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით

17 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ბრალდებულ შ.ა.—ს მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს საქართველოს მთავარმა პროკურორმა;

დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად. ასევე, დროულად მოხდეს ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების ამოღება.

ბრალდებულის განმარტებით, დაკავების შემდეგ, მის მიმართ არაერთგზის განხორციელდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, ისე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში და საბადრაგო სამსახურის მანქანაში. ბრალდებულის განმარტებით, იგი შეძლებს დამნაშავე პირების ამოცნობასა და სახელების გახსენებას.

3.3. წინადადება ყოფილი პატიმრის მ.ღ.-ს ბარდასვალეზასთან დაკავშირებით

17 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება ან გარდაცვლილი პატიმრის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებისა და აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ექიმების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

ამავდროულად, აუცილებელია დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა პატიმრისთვის მიწოდებული მკურნალობის ადეკვატურობისა და დამდგარი შედეგის — გარდაცვალების თავიდან აცილების შესაძლებლობის არსებობის დასადგენად.

3.4. წინადადება მთავარ პროკურორსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს პატიმრის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ

23 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ თ.მ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველმა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ყველა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მოითხოვა. ამასთან, სახ-

ალხო დამცველმა მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველყოს მსჯავრდებულის უსაფრთხოების დაცვა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უნდა იმსჯელოს მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის მიზანშეწონილობის საკითხზე და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

3.5. რეკომენდაცია ოქუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს

28 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს დევნილი ოჯახების მიერ იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე განცხადების წარმოდგენისათვის დადგენილი არაგონივრულად მცირე ვადების გადახედვასთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართა.

იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე განცხადებებით მომართვისათვის დადგენილი არაგონივრულად მცირე ვადების პირობებში, შესაძლოა ბევრი დევნილი დარჩეს არაინფორმირებული ან გვიან მიიღოს ინფორმაცია და ვერ გამოიყენოს მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული შესაძლებლობა. ყველა დაინტერესებული დევნილი უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკმარისი ვადით, მიმართვის განსახორციელებლად, ხოლო დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ უნდა განიხილოს ყველა იმ პირის განცხადება, რომელსაც აქვს სურვილი ისარგებლოს გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული ალტერნატივით.

4. გასული თვის მოვლენები

4.1. აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე

2 აპრილს მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე აღინიშნება. მიმდინარე წელს აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღის სლოგანი იყო — „პროფესიული დასაქმება: უპირატესობა აუტიზმის მქონე ადამიანებს“.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სახელმწიფოს, უზრუნველყოს ყველა ადამიანის, მათ შორის აუტიზტური სპექტრის აშლილობის

მქონე პირთა უფლებების განუხრელი დაცვა და მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოში დღემდე არ არსებობს აუტისტიური სპექტრის აშლილობის მქონე პირთა შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, სკრინინგი. ამასთან ადგილი აქვს გვიან დიაგნოსტიკას და ინტერვენციას, საჭიროებებზე მორგებული და გათვლილი სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობას, დაბრკოლებებს განათლების უფლების რეალიზების დროს, ბარიერებს ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში. პრობლემურია აუტიზმის მქონე მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სპეციფიური სასწავლო სტრატეგიების და მეთოდების შემუშავება და დანერგვა, ასევე პედაგოგთა კვალიფიკაცია.

4.2. სპეციალური ანგარიშების პრაქტიკაში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

3 აპრილს სახალხო დამცველმა ორი სპეციალური ანგარიში „საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა“ და „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები“ წარმოადგინა. ანგარიშები სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოამზადა.

მონიტორინგის მიხედვით გამოიკვეთა, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასათანადოდ ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამები/ქვეპროგრამები, უკიდურეს და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთათვის სათანადო საცხოვრებელი და სასწავლო—სააღმზრდელო რესურსით უზრუნველყოფა, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლებებისათვის საჭირო რეფერირების პროცედურები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო—სოციალური რეაბილიტაცია, ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების იმპლემენტაცია. პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის საკითხი და ინკლუზიური განათლების დანერგვის ხარისხი, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამები განხორციელება.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების

მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ საბავშვო ბაგა—ბაღების აღსაზრდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდის, შედარებით დაბალია ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ამასთან, საბავშვო ბაგა—ბაღების დიდი ნაწილი ფუნქციონირებს არასათანადო ინფრასტრუქტურული და სანიტარულ—ჰიგიენური გარემოს პირობებში. ასევე გამოიკვეთა ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების პრაქტიკაში დანერგვის პრობლემები, აღმზრდელ—პედაგოგთა კვალიფიკაციის ამალღების საჭიროება; არატოლერანტული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება შშმ აღსაზრდელთა მიმართ. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ნაწილში არასათანადოდ არის დაცული კვების ორგანიზაციული წესების სტანდარტი.



ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშების
პრაქტიკაში

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები მიმოიხილა. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში საშა გრაუმანმა მონიტორინგის მნიშვნელობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

4.3. შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა საჭიროებებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის წევრებთან

3 აპრილს სახალხო დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო მსოფლიომ“ და გორის საინფორმაციო ცენტრმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ გამყოფი ხაზის მდებარე 20 თემის წარმომადგენელი და სახალხო დამცველთან არსებული ოსური ფორუმის წევრები.

შეხვედრის მიზანს გამყოფი ხაზის მიმდებარედ

მცხოვრები მოსახლეობის, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სხვადასხვა ჩართულ მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენდა. ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. ასეთი შეხვედრები სამთავრობო კომისიასა და კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას შორის პერიოდულად გაიმართება.

4.4. წერილობითი მოსაზრება უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში

6 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა, როგორც „A“ სტატუსის მქონე ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) სამუშაო ჯგუფის 23-ე სესიისთვის წერილობითი მოსაზრება წარადგინა.

მოსხენებაში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ შესაძლო უფლება-დარღვევებზე, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა და რეპატრიანტთა უფლებებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე, ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებზე.

4.5. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის 10 წლისთავი

8 აპრილს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ექსპოზიციისა და „საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება მხატვრობაში“, წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციებში დაცული 115 ნამუშევარი, რომლებიც XIX-XXI საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელ მხატვართა მიერ არის შესრულებული და საქართველოს მრავალფეროვნული და მრავალკონფესიური კულტურულ ტრადიციებს ასახავს.



ტოლერანტობის ცენტრის 10 წლისთავი ხელოვნების მუზეუმში

ღონისძიებაზე საქართველოს სახალხო დამცველმა ტოლერანტობის ცენტრის 10 წლიანი მუშაობა მიმოიხილა და მადლობა გადაუხარა საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის აქტიური მხარდაჭერისათვის.

ღონისძიება საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ორგანიზებითა და აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს მიერ დაფინანსებული (USAID) საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ (ANI) მხარდამჭერით გაიმართა.

4.6. საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის მერს მიმართა

9 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა თბილისის მერს, პირად კონტროლზე აიყვანოს მელიქიშვილის ქ. №49-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირთა საკითხი, გაითვალისწინოს პრობლემის გადაუდებელი ხასიათი და ღია ცის ქვეშ დარჩენილი პირების გრძელვადიანი და ღირსეული საცხოვრებელი უმოკლეს ვადებში დაკმაყოფილების მიზნით, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება.

2015 წლის 28 მარტს მესაკუთრეთა ინიციატივით, მელიქიშვილის ქ. №49-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირები გამოასახლეს. გამოსახლებულ პირებს შორის არიან ხანდაზმული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არასრულწლოვანი პირები, რომელთა მიმართ სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. აღნიშნული პირების უმრავლესობა ამ დრომდე ქუჩაში რჩება. ქუჩაშია მათი კუთვნილი ავეჯი, შეშის ღუმელი და სხვა მოძრავი ნივთები.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო ინფორმირებული იყო მოსალ-

ოდნელი გამოსახლების შესახებ, გამგეობას არ მიუღია ეფექტური ღონისძიებები აღნიშნული ოჯახების უსახლკარობისაგან დასაცავად და არც გამოსახლების შემდეგ გაატარა საკმარისი ღონისძიებები მთი საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემების დროულად გადასაჭრელად.

4.7. სახალხო დამცველის ინიციატივა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების შესახებ

8 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა ინიციატივა წარმოადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებასთან დაკავშირებით. ინიციატივის მიხედვით, უნდა გაფართოვდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის არეალი. კანონპროექტი გვთავაზობს, შემოწმდეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა. მათ შორის, გამონაკლისის სახით, კანონს - ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში, მიენიჭოს კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გადახედვის უკუძალა, რაც მართლმსაჯულების იმ ხარვეზების გამოვლენისა და გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური მოთხოვნები დაირღვა.

„ჩვენი იდეა უკვე არსებული სისტემის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებაში მდგომარეობს. დღეს საზოგადოებაში კვლავ რჩება მოლოდინი, რომ შეიქმნება მექანიზმი, რომლითაც გარკვეულ საქმეთა ნაწილის განხილვა მაინც იქნება შესაძლებელი და გაჩნდება განცდა, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წასვლა“, — განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ინიციატივის განხილვისას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, თემით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები.

4.8. სახალხო დამცველი ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლეს კომისარს შეხვდა

15 აპრილს სახალხო დამცველი საქართველოში ოფიციალურ ვიზიტით მყოფ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლეს კომისარს ასტრიდ თორსს შეხვდა. უჩა ნანუაშვილმა უმაღლეს კომისარს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მიმოიხილა 2012-2013 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის შესრულების საკითხები.



სახალხო დამცველისა და ქალბატონ ასტრიდ თორსის შეხვედრა უმაღლესმა კომისარმა ხაზი გაუსვა სახალხო დამცველის განსაკუთრებულ როლს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის საკითხებში.

4.9. ინფორმაციის კომისიების საერთაშორისო კონფერენცია ჩილეში

21-25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ მონაწილეობა მიიღო ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გამართულ ინფორმაციის კომისიების IX საერთაშორისო კონფერენციაში „გამჭირვალობისა და ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის მდგომარეობა მსოფლიოში. მიღწევები და სამომავლო გამოწვევები“.

მსოფლიოს 35 ქვეყნის წარმომადგენელთა სამდღიანი შეკრების მიზანს წარმოადგენდა ღია და კარგი მმართველობის, მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში ინფორმაციის კომისიების მუშაობის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა რეგიონული და საერთაშორისო ქსელების შექმნა-გაძლიერება, ახალი ტენდენციების გაანალიზება და ერთობლივი მეთოდების შემუშავება.

საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ სამუშაო თემატური ჯგუფში საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ მოკლე პრეზენტაცია წარადგინა.

კონფერენციაზე შეიმუშავეს და მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ მონაწილეები მოუწოდებენ მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებას და მოქალაქეებს ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის ეფექტურ რეალიზაციას.

ღონისძიების მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს განავითარონ ინფორმაციის კომისართა საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის ქსელი, რაც ინფორმაციის თავისუფლებაზე ზედამხედველობის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს.

„კონფერენციაში მონაწილეობამ საშუალება მოგვცა გავცნობოდით ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სხვადასხვა სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკას და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ეს ინსტიტუციები ასრულებენ ღია და გამჭირვალე მმართველობის დამკვიდრების პროცესში. ნიშანდობლივია, რომ კონფერენციაში მონაწილე ქვეყნებში მოქმედებს ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთა იმპლემენტაციაზე საკმაოდ ფართო მანდატით აღჭურვილი ინფორმაციის კომისიები

არიან პასუხისმგებელი. აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გადადგას ქმედითი ნაბიჯი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მისაღებად, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს გამჭირვალე, ღია, ანგარიშვალდებული მმართველობის პრინციპების ჩამოყალიბებას ქვეყანაში“ - მიიჩნევს სახალხო დამცველის მოადგილე.

4.10. კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა: ხელისუფლებისა და საზოგადოების როლი და პასუხისმგებლობა

23 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა და დევნილთა ქსელ „სინერჯიას“ ორგანიზებით გამართა შეხვედრა თემაზე - კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა: ხელისუფლებისა და საზოგადოების როლი და პასუხისმგებლობა.

ღონისძიებაზე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ისაუბრა კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე; სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების, განათლების, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, პატიმრებისა და რესტიტუციის საკითხების გადასაჭრელად ქვეყანაში ერთიანი პოლიტიკის არსებობის ნაკლებობაზე. ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი მიდგომა და ხედვა სახელმწიფოსთვის დიდი გამოწვევაა და აუცილებელია ამ კუთხით გააქტიურება, რაც ხელისუფლებისა და საზოგადოების მეტ ჩართულობას გულისხმობს.

ქსელი „სინერჯიის“ წარმომადგენლებმა კონფლიქტურ რეგიონებში განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ კვლევა წარმოადგინეს, რომელშიც ზოგადი განათლების ხარისხი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემები იყო მიმოხილული.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში ალექსანდრა მერი ჰოლ ჰოლი.

ღონისძიება საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

4.11. სახალხო დამცველის შეხვედრა კრემიერ-მინისტრთან

24 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში კრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე სახალხო დამცველმა მთავრობის მეთაურს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თვალსაზრისით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია მიაწოდა.

ასევე განიხილეს ადამიანის უფლებათა საკითხებში საქართველოს მთავრობის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის განწერილი მთავრობის საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში 2014-2015 წლებისთვის.

4.12. განსხილვა ბურჯანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

26 აპრილი. აპრილის მეორე ნახევარში გურჯაანში „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებმა ცალკეული ძალადობრივი ქმედებები განახორციელეს „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პარლამენტარებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველი გმობს ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, რათა ადეკვატურად შეფასდეს მომხდარი, გამოვლინდეს ყველა პასუხისმგებელი პირი და სათანადო სამართლებრივი შედეგები დადგეს მათ მიმართ.

გურჯაანში მომხდარი ინციდენტების შესწავლისას მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რამდენად ეფექტურად განახორციელეს სამართალდამცავებმა საკუთარი საქმიანობა და რამ შეუშალათ ხელი ძალადობრივი ქმედებების პრევენციაში.

თუ ცალკეული პირების ქმედებებში არ იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, აუცილებელია მოხდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ქრილში გარემოებების შეფასება. ასევე, თუ ცალკეული საჯარო მოხელეების კონკრეტული ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას არ წარმოადგენს, უნდა შეფასდეს, ხომ არ წარმოადგენდა აღნიშნული დისციპლი-

ნურ გადაცდომას. საქართველოს სახალხო დამცველი დააკვირდება ზემოაღნიშნულ ინციდენტებზე რეაგირებას ყველა პასუხისმგებელი უწყების მხრიდან.

4.13. დებატები: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა - ხარვეზები და გამოწვევები

24 აპრილს სახალხო დამცველის მორიგ დებატებზე ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება განიხილეს.

ლონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე ადამიანის უფლებათა საკითხებში ევა პასტრანა.



დებატები: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა - ხარვეზები და გამოწვევები

სახალხო დამცველის ინიციატივა, რომელიც თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა მაკა გიოშვილმა წარმოადგინა, სამ ძირითად თემას მოიცავს. ერთი გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც სახალხო დამცველს უფლებას მისცემს არ შეწყვიტოს დისკრიმინაციის შესახებ საქმის შესწავლა იმ შემთხვევაშიც, თუ იგივე საქმე გადაცემულია სასამართლოში. მეორე საკითხი კერძო სტრუქტურებში კანონის აღსრულების კონტროლის მექანიზმის დახვეწას ეხება, ხოლო მესამე - სახალხო დამცველის, როგორც სასამართლოს მეგობრის მონაწილეობას დისკრიმინაციის საკითხების განხილვისას. (სასამართლოს მეგობრის ფუნქცია მხოლოდ სტანდარტული პრაქტიკის განმარტებით იქნება შემოფარგლული).


საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრმა თამარ კორძაიამ დადებითად შეაფასა ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტური იმპლემენტაციისათვის განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებები და ინიციატივის განხილვისა და კანონის დახვეწ-

ისტვის მუშაობის მზაობა გამოთქვა. კოალიცია თანასწორობისთვის წევრის ლინა ღვინიაძის განცხადებით, კოალიცია ეთანხმება საკანონმდებლო პაკეტში შესულ საკითხებს და მხარს დაუჭერს სახალხო დამცველს ინიციატივის განხორციელებაში.

დებატები ყოველი თვის ბოლო პარასკევს ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა“ ფარგლებში იმართება.

4.14. თანასწორობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტის ვიზიტი

28-30 აპრილს საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში სტუმრად იმყოფებოდა თანასწორობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტი ჩილა ვან დერ ბასი, რომელმაც ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებს ჰოლანდიის თანასწორობის ორგანოს საქმიანობა, კომპეტენციები, გადამწყვეტილებების მიღების და აღსრულების წესი, დისკრიმინაციის საქმეების მოკვლევის და მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი გააცნო.



ექსპერტი ჩილა ვან დერ ბასი სახალხო დამცველის აპარატში გაბარებულ შეხვედრაზე

შეხვედრებზე განიხილეს საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონის ხარვეზები, ასევე ისაუბრეს ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელებასა და თანასწორობის ორგანოს სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე.

ვიზიტი ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) დახმარებით შედგა.

4.15. ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წევრები სესიას მონაწილეობა

30 აპრილს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას შეხვდნენ

და ეთნიკური უმცირესობებისთვის საარჩევნო უფლებებისა და პროცედურების შესახებ ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ აქტივობებს გაეცნენ. ცესკომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო განათლების, სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობის, საარჩევნო პროცედურების შესახებ ახალგაზრდებისთვის საზაფხულო სკოლებში სასწავლო კურსების ჩატარებისა და სხვა საინფორმაციო კამპანიების შესახებ პროექტი წარმოადგინა.



ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წევრთა შეხვედრა სესიას მონაწილეობისას

შეხვედრაზე სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელება უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, გაზრდის საარჩევნო უფლებებისა და პროცედურების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ცნობადობას და მათ მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

5. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

5.1. საინფორმაციო შეხვედრები მალაშვილის აჭარაში აღრულებულ ასაკში ქორწინებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

1-3 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებით, აჭარის 4 მუნიციპალურ ერთეულში (ბათუმი, ხულო, შუახევი, ქედა) ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა. შეხვედრები მიზნად ისახავდა რეგიონში არსებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვას. დისკუსიის მიმდინარეობისას ისაუბრეს რეგიონში არსებულ პრობლემებზე, მათ გამომწვევ ფაქტორებსა და თანმდევ შედეგებზე.

შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა ახალგაზრდებმა და თემით დაინტერესებულმა სხვა პირებმა.

შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემა კვლავ ტაბუდადებული საკითხად რჩება. მასზე არ საუბრობენ და შესაბამისად, იდენტიფიცირებულ შემთხვევათა რაოდენობა კვლავ მცირეა. აღინიშნა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. ხოლო იძულებითი ქორწინების შემთხვევებს საერთოდ არ აქვს ადგილი.

ვიზიტი ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ და ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა.

5.2. მონიტორინგი ხანდაზმულთა დანაშაულებათაში

1—5 აპრილს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივი მონიტორინგი განხორციელეს ხანდაზმულთა შემდეგ სახლებში:

- თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი
- თბილისის მოხუცებულთა და შშმპ პანსიონატი „ჩემი ოჯახი“
- თბილისი, ააიპ „დიოდორა“
- სიღნაღი, სოფელი წნორი — „ბეთელი“
- სიღნაღი, სოფელი ბოდბისხევი „უზრუნველი სიბერე“
- ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი
- ოზურგეთი, სოფელი ანასეული, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“.

5.3. საჩივრების პროექტი და მონიტორინგი

7 აპრილიდან სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა სასჯელაღსრულების დანესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონიტორინგის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო. პროექტის ამოცანაა საჩივართა განხილვის პროცედურისა და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების ქრილში, აგრეთვე სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ პატიმართა ინფორმირებ-

ულობის დონის შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ფარგლებში ხორციელდება სამართლებრივი დაცვის საშუალებების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების ქრილში; ასევე, მიმდინარეობს პატიმართა ინტერვიუება წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სოციოლოგი.

5.4. ტრენინგები დისკრიმინაციის საკითხებზე სკოლის მოსწავლეებისათვის

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტი საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში დისკრიმინაციის შესახებ ტრენინგებს აგრძელებს. ანა კვაჭაძემ და გიორგი კაპანაძემ **7 აპრილს** საგანმანათლებლო ტრენინგები ჩაატარეს ბათუმის მე-2 და მე-14 საჯარო სკოლებში, ხოლო **8 აპრილს** ქობულეთის მე-5 და მე-3 საჯარო სკოლებში.



ტრენინგები მათა და მათარძივა კლასის მოსწავლეებთან

16 აპრილს ტრენინგი ჩატარდათ ქუთაისის ფიზიკა მათემატიკური 41-ე და მე-20 საჯარო სკოლების მოსწავლეებს; **17 აპრილს** სამტრედიის პირველ და მესამე საჯარო სკოლების მოსწავლეებს.

ტრენინგი მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეების არის განკუთვნილი. ძირითადი თემატიკა არის დისკრიმინაციის აკრძალვა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის ფარგლებში სახალხო დამცველის უფლებამოსილებები, აგრეთვე თანასწორობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები.

თეორიული სალექციო კურსის გარდა, ტრენინგი ითვალისწინებს სავარჯიშოებს, გონებრივ იერიშს (ბრენინსტორმინგს), როლურ გათამაშებებს და კაზუსებს.

5.5. შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის წარმომადგენლებთან

8 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სხილაძე სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს შეხვდა.

საინფორმაციო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაცნობა.

დისკუსიის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება მიეცათ შეკითხვები დაესვათ მათთვის საინტერესო საკითხებზე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებულმა მდგომარეობამ; ასევე, ამ პრობლემების გამოვლენისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველის მანდატმა და უფლებამოსილებამ.

სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ფასილიტაციით დაფუძნდა. ქსელის მიზანია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების რესურსების კონსოლიდაცია, ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისათვის.

შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე

8 აპრილს სახალხო დამცველის მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში, მედეა ტურაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელიც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის გაღრმავებას ისახავდა მიზნად.

შეხვედრაზე, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების თაობაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების შედეგების საზოგადოებისთვის მიწოდებისა და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებ თემებში უსაფრთხოების პრობლემებზე ისაუბრა.

6. წარმატებული საქმეები

6.1. არასრულწლოვანს ოპერაცია დაუფინანსა

აპრილის დასაწყისში სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სრულად დააფინანსა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები არასრულწლოვნის ოპერაციის ხარჯი.

6.2. რელიგიური დისკრიმინაციის ფაქტზე დავის მოგვარება

15 აპრილის სახალხო დამცველს წერილით შეატყობინეს, რომ სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის აქტიური ჩარევის შემდეგ განმცხადებელსა და ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკას შორის არსებული დავა მოგვარდა.

9 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქემ, რომელიც უთითებდა, რომ მას ერთ-ერთ კლინიკაში, ქირურგიული ჩარევის მიზეზით სისხლის გადასხმას უპირებდნენ. მოქალაქემ თავისი რელიგიური შეხედულებების გამო სისხლის გადასხმაზე უარი განაცხადა და სხვა კლინიკაში გადაყვანა მოითხოვა. განმცხადებელის თქმით, იგი საავადმყოფოში თვითნებურად დააყოვნეს და სხვა კლინიკაში მხოლოდ მოგვიანებით გადაიყვანეს, რის გამოც, დაირღვა მისი რელიგიის თავისუფლების უფლება და გახდა რელიგიური მოტივებით დისკრიმინაციის მსხვერპლი.

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო საქმის შესწავლა, რის შემდეგაც კლინიკამ განმცხადებელს დავის მოგვარების მიზნით კომპენსაცია, მათ შორის საავადმყოფოს ხარჯებისაგან გათავისუფლება შესთავაზა.

6.3. დისკრიმინაციის აღმოფხვრა სამოქალაქო აქტივისტისა და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურში

6 აპრილს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ თანასწორობის დეპარტამენტის ძალისხმევით, სამართლებრივი დახმარების ცენტრმა „ჭიქა“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სამოქალაქო აქტივისტისა და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურს შორის კომუნიკაცია შედგა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, სამოქალაქო აქტივისტისა და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურმა პირადობის დამადასტურებელ და დაბადების მოწმობებში ეროვნული უმცირესო-

ბის წარმომადგენლების სახელებისა და გვარების შეყვანა იმგვარად დაინყო, რომ დაცული იქნას მათ ენაზე გამოთქმის წესები და სტილი.

7. ღირსშესანიშნავი თარიღები

7.1. სახალხო დამცველმა ასურელებს ახალი წელი მიულოცა

1 აპრილს ასურელები ახალი წლის დღესასწაულს, აკიტუ - ხა ბ-ნისანს აღნიშნავენ. 2015 წლის პირველ აპრილს, მათი კალენდრის მიხედვით, 6765 წელი დადგა.

ამ დღეს ასურელები გაზაფხულის დადგომას, ბუნებისა და სიცოცხლის განახლებას ზეიმობენ; ერთად იკრიბებიან და დღესასწაულს ნაციონალური სიმღერებითა და ცეკვით აღნიშნავენ.

საქართველოს სახალხო დამცველმა ბედნიერი, მშვიდობიანი და კეთილდღეობით აღსავსე წელი უსურვა საქართველოში მცხოვრებ ასურელ თემს.

7.2. პასექის დღესასწაული

3 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს პასექის დღესასწაული მიულოცა და მათ წინსვლა, ბედნიერება და კეთილდღეობა უსურვა.

პასექი ებრაელი ხალხის ეგვიპტელთა მონობისგან თავის დაღწევასა და თავისუფლების მოპოვებასთან დაკავშირებული უდიდესი დღესასწაულია. პასექის დღეებში ებრაელები ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ნიშნად უფლისგან მოსულ ხსნას ზეიმობენ, იერუსალიმის ტაძარს მოილოცავენ და უფუარ პურს - მაცას მიირთმევენ.

7.3. სახალხო დამცველის მილოცვა აღდგომის დღესასწაულიან დაკავშირებით

4 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა აღდგომის დღესასწაული მიულოცა საქართველოში მცხოვრებ კათოლიკე, ლუთერულ და სომეხთა სამოციქულო ეკლესიების მრევლს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დადგომას დასავლური კალენდრის მიხედვით ზეიმობს; უსურვა მათ იმედი, რწმენა, სიყვარული და უღვივი სიხარული.

7.4. ქრისტე აღსდგა!

12 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მართლმადიდებელ ქრისტიანებს, იესო ქრისტეს ბრწყინვალე მკვდრეთით აღდგომის დღესასწაული მიულოცა.

„სახარების ფურცლებზე მოთხრობილი ეს მოვლენა არის სიბნელეზე სინათლის, ბოროტებაზე სიკეთის, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დიდებული ხატი, დიდებული ამბავი ქრისტიანთა განკაცებული ღმერთისა, რომელმაც ისტორიის მსვლელობას გეზი შეუცვალა და მთელ მსოფლიოში ადამიანის სიცოცხლის, როგორც უმაღლესი ფასეულობის აღიარებას დაედო საწინდრად.

გულითადად მინდა შევეუერთდე ქრისტეს აღდგომის საერთო ქრისტიანულ სიხარულს და თითოეულ თქვენგანს გისურვოთ დაუსრულებელი სწრაფვა სიხარულისა და ბედნიერებისკენ!“, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა რუსეთს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდა

2 აპრილს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, **შემაჯამებელი დასკვნა** გამოაქვეყნა. კომიტეტმა დასკვნითი მოსაზრებები რუსეთის ფედერაციის მიერ 2015 წლის 16 და 17 მარტს გაეროში წარმოდგენილი ანგარიშის და არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო. გაეროს 113—ე სესიაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტთან თანამშრომლობით, **ალტერნატიული ანგარიში** წარადგინეს.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიში, სხვა მწვავე საკითხებთან ერთად, ასახავს საქართველოს მოქალაქეთა მიმართ რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და რუსი და ოსი მესაზღვრეების მიერ მავთულხლართების უკანონო მშენებლობისა და უკანონო დაკავებების მიმდინარე ფაქტებს.

საგულისხმოა, რომ კომიტეტის შემაჯამებელ დასკვნაში, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის

გათვალისწინებით, ყურადღება გამახვილებულია შეიარაღებულ კონფლიქტზე საქართველოში. ასევე, დასკვნაში საუბარია უკრაინის კონფლიქტზეც: „კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს უკრაინაში პაქტით აღიარებული უფლებების მძიმე დარღვევის სავარაუდო შემთხვევების გამო, რასაც ადგილი აქვს იმ ძალების მხრიდან, რომელზეც, როგორც ჩანს, პაქტის ხელშემკვრელ მხარეს [რუსეთი] მნიშვნელოვანი გავლენა აქვს და რაც, შესაძლოა, ეფექტურ კონტროლს გაუტოლდეს. კომიტეტი აგრეთვე შეშფოთებულია 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს საქართველოს რეგიონ - სამხრეთ ოსეთში პაქტით აღიარებული უფლებების მძიმე დარღვევების ფაქტების გამო, რომელთა გამოძიებაც სრულად არ მომხდარა. კომიტეტი მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეს [რუსეთის ფედერაციას], დაიცვას პაქტით აღიარებული უფლებები იმ ქმედებებთან მიმართებით, რომელთაც ადგილი აქვს შეიარაღებული ჯგუფებისა და ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“, „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკისა“ და „სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებული ხელისუფლების მხრიდან, იმ ფარგლებში, რომელშიც იგი უკვე ახორციელებს სათანადო გავლენას ამ ჯგუფებსა და ხელისუფლების ორგანოებზე, რაც უტოლდება მათ ქმედებებზე ეფექტურ კონტროლს.“

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით შემუშავებულ დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა რასიზმისა და ქსენოფობიის მწვავე პრობლემებზე, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის საკითხებზე, ანტი—ტერორისტული და ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის ნაკლოვანებებზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების პრობლემებზე. ამასთან, დასკვნაში საუბარია წამებისა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე და იურისტების, ჟურნალისტების, უფლებადამცველებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ შევიწროების, ძალადობისა და მკვლელობების შემთხვევებზე.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. ახალი თანამშრომლები

1 აპრილიდან სახალხო დამცველის აპარატ-

ში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსმა ნიკო თათულაშვილმა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა რუსუდან კობოძე; თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსის წესით შეირჩა გიორგი ძაძუა;

9.2. ტრენინგი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის საქართველოს უფლებების შესახებ

3-4 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს საკუთრების უფლებაზე ტრენინგი ჩაუტარდათ. განიხილეს მესაკუთრის მიერ სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ ან მიზერულ ფასად გადაცემასთან დაკავშირებული პრობლემა და არსებული სასამართლო პრაქტიკა, საკუთრების უფლების ჩამორთმევის — ექსპროპრიაციის შესახებ კანონმდებლობა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთრების უფლების ზედდების პრობლემა და სხვა.

ტრენინგი დაფინანსებული იყო ევროკავშირის პროექტის — „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ — ფარგლებში.

9.3. ტრენინგი ჟურნალისტებისთვის დისკრიმინაციის საკითხებზე

6-7 აპრილს სახალხო დამცველის აპარატმა ჟურნალისტებისათვის ტრენინგი გამართა თემაზე, „დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა“. ტრენინგს, როგორც ცენტრალური ტელე-რადიო მაუწყებლების, ასევე რეგიონული, ბეჭდური და ელექტრონული მედიის 19 წარმომადგენელი ესწრებოდა.

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა მაკა გომიშვილმა, საიას წარმომადგენელმა გიორგი გოცირიძემ და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ნევრმა ეკა აღდგომელაშვილმა ევროპული კონვენციით დაცულ ადამიანის უფლებებზე, კონვენციისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის შესაბამისად, დისკრიმინაციის ცნებასა და ნიშნებზე, სტიგმაზე, სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციაზე, სიძულვილის ენასა და შეკრება მანიფესტაციების თავისუფლებაზე, ასევე სექსუალ-

ლურ ორიენტაციაზე, გენდერული იდენტობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე ისაუბრეს.

ლონისძიება დააფინანსა ევროკავშირის პროექტმა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“.

9.4. ტრენინგი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ

22—23 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ. ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩატარდა.


პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელმა ნატა მიქელაძემ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზანი და საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები წარმოადგინა; ხოლო პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრმა თამარ კორძაიამ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამონათქვამის თავისუფლების უფლებებზე; სახელმწიფო დაწესებულებების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფარგლებში ინფორმაციის თავისუფლებზე; მედიაში პერსონალური მონაცემების გავრცელების შესახებ სამართლებრივი და ეთიკური რეგულაციებსა და სხვა საკითხებზე ისაუბრა.

9.5. 28 აპრილს სახალხო დამცველის აპარატმა ვებ-აღმინისტრატორის ბულეტენის და ვაკანსიაზე გამოაცხადა.

9.6. მომართვიანობის სტატისტიკა

აპრილის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 589 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 496 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 43
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 224
- რეგიონული სამმართველო - 162
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი - 27
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 4
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 14
- თანასწორობის დეპარტამენტი - 15
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 6



10. კონტაქტი

თბილისი:

ნინო რამიშვილის 6, თბილისი 0179
 ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
 ფაქსი: +99532 913841
 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:

მაზნიაშვილის ქ. 9
 მობ.: 577 50 52 31
 ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:

კოსტავას 58
 მობ.: 577 50 52 34
 ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქ. 4
 მობ.: 577 12 27 70 ;
 577 12 27 71
 ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:

ჩოლოყაშვილის ქ.36
 მობ.: 577 048267
 ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18
 მობ.: 577 55 33 81
 ტელ.: 0431 25 33 50

ბორი:

სამების ქ. N1
 მობ.: 577 78 27 42
 ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:

რუსთაველის ქ. 51
 ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
 სარედაქციო კოლეგია:
 თამარ ხიდაშელი,
 თაა ბასიკაძე